



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1085
07/06/2018

ქალაქი ბათუმი

1085-05-4-201806071436



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის რიგ შენობებზე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილებისა და მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის 27 აპრილის №1189-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად ვბრძანებ:

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი მატერიალური - ტექნიკურ საკითხებში მერაბ ბახტაძე - სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს შემდეგ ობიექტებზე:

- ა) სოფელ აჭარისაღმართის სამედიცინო ამბულატორია;
- ბ) აჭარისაღმართის ადმინისტრაციული შენობა;
- გ) აჭარისწყლის ადმინისტრაციული შენობა;
- დ) აჭარისწყლის სამედიცინო ამბულატორია;
- ე) სოფელ თხილნარის სამედიცინო ამბულატორია;
- ვ) კირნათის ადმინისტრაციული შენობა;
- ზ) სოფელ კირნათის სამედიცინო ამბულატორია;
- თ) სოფელ მარადიდის ამბულატორია;
- ი) სოფელ სარფის სამედიცინო ამბულატორია;
- კ) სარფის ადმინისტრაციული შენობა;
- ლ) სოფელ შარაბიძეების სამედიცინო ამბულატორია;
- მ) შარაბიძეების ადმინისტრაციული შენობა;
- ნ) ზედა ჩხტუტუნეთის მუზეუმი.

2. დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) და ინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

